№ 111

პარასკევი, 25 მაისი, 1901 წ.

1877—1901

# ივერია

№ 111

პარასკევი, 25 მაისი, 1901 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

დღესწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 27 მაისს

**ქვრივი ეკატერინე გრიგოლის ასული სულხანიშვილისა** შვილებითურთ ამით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 26 მაისს, კუკიის სასაფლაოს წმინდა ნინოს ეკლესიაში გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სტატსკი-სოვეტნიკის

**ექიმის მიხეილ იესეს-ძის სულხანიშვილის**

სულის მოსახსენებლად. დასაწყისი წირვისა დილის ათ საათზედ, პანაშვიდისა—თორმეტის ნახევარზედ. (1—130—1)

## სახალხო სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“-მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 25-სა და 26 მაისს. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულის ჭავჭავაძისასთან, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში“, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

**სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე**

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

## დეპო

ტელეფონი № 741.

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

ამხანაგობის განყოფილება სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

ადრესი ტელეგრამის: Тифлисъ „Фармацевтика“

(100—43—30)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ამით იწვევს „საზოგადოების“ წევრთ არა-ჩვეულებრივ კრებაზედ, რომელიც მოხდება 1 ივნისს, საღამოს 8 ს., ქართულის თეატრის ფოიეში.

განსახილველი საგნები:

1) გასულის წლის შესავალ-გასავლის ანგარიში და მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ;

2) მიმდინარე საქმეები;

3) არჩევანი „საზოგადოების“ ახალ წევრთა;

4) არჩევანი გამგეობის 7 წევრისა და სამის კანდიდატისა.

განსახილველი საგნები:

1) 1900 წ. საზოგადოების მოქმედების ანგარიში და ამ ანგარიშის შესახებ მოხსენება.

2) 1901 წ. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა.

3) მოხსენება საზოგადოების საჭიროებისათვის სახლის აშენების საქმის მდგომარეობის შესახებ.

და 4) სხვა-და-სხვა თხოვნები და წვრილმანი კითხვები. (3—б.—3)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის გამგე კომიტეტი ამით აუწყებს ამა საზოგადოების წევრთ, რომ ჩვეულებრივი წლიური საზოგადო კრება დანიშნულია ამა წლის მაისის 26, საღამოს 8 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა,

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მუღანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. მატიღოვი—თვალის 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ქ. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

გ. დ. მარკევიჩი—საქირურგო—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 ს.

**საღამოთი:**

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

**კვირაობით:**

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. გმელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра

**Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა: სოხუმის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელი კაპიტანი ლ ა კ ე რ ბ ა ი ა სოხუმის ოლქის მომრიგებელ შუამავლის თანამდებობის აღმასრულებლად.

ებოძათ: კოლეჟსკი ასესორობა სპარსეთის მოსაზღვრე კომისართან მყოფს მკურნალს ა ლ ხ ა ზ ი შ ვ ი ლ ს და ზუგდიდის მაზრის ბოქაულს კ ე ი დ ი ა ს; ტიტულიარნი სოვეტნიკობა—შორაპნის მაზრის მომრიგებელ შუამავალს თავ. ა ბ ა შ ი ძ ე ს და ქუთაისის საგუბერნიო გამგეობის საქმის მწარმოებელს გ რ ი გ ო რ ა შ ვ ი ლ ს; კოლეჟსკი სეკრეტრობა—გეოქჩაის განყოფილების მომრიგებელს შუამავალს ო ც ხ ე ლ ს, ქუთაისის თავად-აზნაურთა საკრებულოს მოხელეს ფ ო ფ ხ ა ძ ე ს, დაბა ზუგდიდის ბოქაულს ბ ე კ უ ჩ ა ვ ა ს და სიღნაღის მაზრის ბოქაულის თან. აღმასრულებელს თავ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე ს; გუბერნსკი სეკრეტრობა—კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის თარჯიმანს ღ ა მ ბ ა რ ა შ ვ ი ლ ს, ქუთაისის საგუბერნიო გამგეობის მოხელეს დარახველიძეს, ზუგდიდის მაზრის საპოლიციო გამგეობის მოხელეს კ ე ი დ ი ა ს და გუმბრის მაზრის ბოქაულის თან. აღმ. ა რ ო ნ ი შ ი ძ ე ს; კოლეჟსკი რეგისტრატორობა—ტფილისის გუბერნატორის საგანგებო მინდობილებათა უმცროსს მოხელეს თავ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ-მ უ ხ რ ა ნ ს კ ი ს, ლეჩხუმის საპოლიციო გამგეობის მოხელეს გ ე ლ ო ვ ა ნ ს და გორის საპოლიციო გამგეობის მოხელეს ქარუმიძეს.

**შემოწირულება**

„ქ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირეს:

მაკრინე ყავრიშვილმა—ორი ჩარჩო, სამი სათამაშო ნივთი და პაპიროსების ჩასაწყობი; ელენე აბულაძემ—1 ბავშვის პერანგი, 1 პერანგის ნაქსოვი საგულე; სოფიო ჯამასპოვმა—ნაქსოვი ქისა-ხელადა; კნ. სოფიო ვასილის ასულმა ამირეჯიბისამ—ორი ვაზა, ფინჯანი, სუხარის ჩასაწყობი, ლიკიორის პრიბორი, ფოდნოსი, მარაო, ვაზა ყვავილებით; გიორგი აბულაძემ—საბავშვო საკრავი; ნ. ი. ვაჟიკაშვილმა—10 ბოთლი ღვინო; ნ. კარახანოვმა—შოკოლადი 1 მანეთისა. ბ-ნ აკოფოვმა ნესესელი, ჩარჩო, ალბომი და პორტფელი; კახეთის მემამულეებმა—25 ბოთლი ღვინო; ანნა ჩაჩიბაიამ—რედიკიული და ნესესელი.

## ახალი ამბავი

*** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 25 მაისს, დილიდგან გაიმართება მუშტაიდში საქველმოქმედო ბაზარი და სეირნობა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ.

*** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში შაბათს, 26 მაისს, საღამოს 8 საათზედ, დანიშნულია ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო კრება; კრებას განსახილველად ექმნება შემდეგი საქმეები: საზოგადოების მოქმედების 1900 წლის ანგარიში და ანგარიშის გამო მოხსენება; ამ მიმდინარე წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა, მოხსენება საზოგადოების სასკოლო სახლის შესახებ და სხვა.

*** როგორც მკითხველებს უთუოდ ახსოვთ, კარგა ხანია ტფილისის ქალაქის გამგეობაში აღიძრა საკითხი იმის შესახებ, რომ ქალაქმა თავის ფულით გამართოს საკუთარი ხორცით სავაჭრო დუქნები და უკეთ მოაწყოს ხორცის ვაჭრობის საქმე. ოთხშაბათს, 23 მაისს, გამგეობის დარბაზში ამ საქმის გამო სხდომა ჰქონდა ქალაქის გამგეობას, რომელზედაც აგრეთვე მოწვეულ იქმნენ სპეციალისტნი. განხილულ იქმნა ამ საქმის შესახები სხვა-და-სხვა საკითხი. ლაპარაკი ჰქონდათ, მაგ., იმის შესახებ, სად გამონახონ საჭირო თანხა. გამგეობამ განმარტა, რომ ამ საქმისათვის შეგვიძლიან ქალაქის ერთ-ერთ განსაკუთრებულ თანხიდგან ვისესხოთ ფული და მერე შევავსოთო. ამასთან ისიც გამოითქვა, რომ რადგანაც ერთი ცენტრალური დუქანი არ ეყოფა ქალაქის მცხოვრებთ, სხვა ადგილებში განყოფილებანი იქმნას გამართულიო. გამგეობამ ბოლოს დაადგინა: დაევალოს ქალაქის გამგეობის წევრს თავ. ჩერქეზიშვილს მიანდოს ქალაქის რომელსამე ტეხნიკოსს აღნიშნულ დუქნების შენობების გეგმის შედგენა; ხოლო ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა მიენდოს ქალაქის სამეურნეო სავაჭრო პოლიციის ყოფილ უფროს ზედამხედველს ბ-ნ ალიხანოვსა და ქალაქის ბეითალს; აშენებულ იქმნას სახორცე დუქნები ხუთ ადგილას: ერთი ცენტრალური შუა ბაზარში და განყოფილებანი: ავლაბარსა, თათრის მოედანსა, კუკიასა და ვერაზედ. ამასთანავე გამგეობამ საჭიროდ იცნო აღნიშნულ პროექტის განხორციელების შემდეგ ქალაქის დუქნების მართვა-გამგეობა ერთს კაცს მიანდოს, რომელსაც წელიწადში ჯამაგირად 1800 მ. დაენიშნება. ამ საქმის გამო ზოგიერთ საკითხების განხილვა გამგეობამ გადასდვა სხვა დროისათვის.

*** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის გამგე კომიტეტმა 23 მაისის სხდომა-

ზედ, სხვათა შორის, განიხილა ტფილისის მცხოვრების ი. ბაქრაძის განცხადება იმის შესახებ, რომ ნება დაერთოს მას გამოფენაზედ ხალხის გასართობის გამართვისა. კომიტეტმა შეიწყნარა ბაქრაძის თხოვნა. ამავე სხდომაზედ კომიტეტმა გარდასწყვიტა მადლობა გამოუცხადოს 400 მანეთის გამოფენის გასამართავად შემოწირვისათვის ტფილისის სამეურნეო ბანკს. კომიტეტმა ზოგიერთ წვრიმალ საქმეების განხილვის შემდეგ, გამოფენის კომისარის მოხსენებისა თანახმად, დაადგინა დანიშნოს პრემიებად 125, 78 და 50 მანეთი იმათ დასასაჩუქრებლად, რომელნიც კონკურსით აიღებენ კომიტეტისაგან მენდლებისა და ქებების ფურცლების სანიმუშო სურათების დამზადებას.

** როგორც შევიტყეთ, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი ბ-ნი ბელიავსკი 30 მაისისათვის ტფილისიდგან პეტერბურგში მიემგზავრება.

** უწმ. სინოდთან არსებულს სასწავლებელთა საბჭოს განკარგულება მოუხდენია გადადებულ იქმნას სამრევლო საეკკლესიო სკოლების შესანახად: ტფილისისა და ბორჩალოს მაზრების 42 სკოლისათვის —13,559 მან., გორის მაზრის 7 სკოლისა—1,580 მან., სიღნაღის მაზრის 11 სკოლისა—2,980 მან., თელავის მაზრის 3 სკოლისა—1,090 მან. და სხვ. ამას გარდა ბოდბისა და ტირძნისის მეორე-კლასიან სამრევლო-საეკკლესიო სკოლების შესანახად გადადებულ იქმნა თითოსთვის 1,500 მან. და სამრევლო სკოლების მაზრის ზედამხედველთათვის —2,400 მან.

** საერო განათლების მინისტრს დაუმტკიცებია პროექტი „ქალაქ ტფილისისა და ტფილისის გუბერნიის სახალხო კითხვათა საზოგადოების“ წესდებისა.

** ხვალ, 26 მაისიდგან, მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე შეუდგება გორის მაზრაში მოგზაურობას და ადგილობრივ ეკკლესიების დათვალიერებას. ტფილისიდგან ეგზარხოსი საღამოს 7 საათზედ წავა და პირველად კასპში ჩავა.

** გენერალს მამაცაშვილს 2 დესიატინა მიწა შეუწირავს გორის მაზრის ს. გომის სამრევლო-საეკკლესიო სკოლისათვის.

** გორის მაზრის სოფ. მერეთის მცხოვრებთ შუამდგომლობა აღუძრავთ კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ შეღავათი მიეცეთ მათ სხვა-და-სხვა დარჩენილ გარდასახადის გასტუმრების დროს.

** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ამ ჟამად ლაპარაკი აღუძრავთ ამიერ კავკასიის ზოგიერთ სახაზინო ტყეებში ნადირობის აღკრძალვის შესახებ.

** ჟურნალ „Кавк. Сельс. Хозяйство“-ს სარედაქციო კომისიას შეუმუშავებია ამ ჟურნალის გამოცემის წეს-რიგი, რომელიც წარედგინება კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას დასამტკიცებლად.

** განზრახვა აქვთ საზოგადოდ რუსეთსა და კერძოდ ამიერ-კავკასიის ქალაქებში საპეითალო ნაწილის მოსაწესრიგებლად მოიწვიონ პეტერბურგში განსაკუთრებული კომისია.

** მოსკოვის სატეხნიკო სასწავლებელში განთავისუფლებულა სამი ვაკანსია კავკასიის სტიპენდიანტებისათვის.

** როგორც ქუთაისიდგან „ცნ. ფურც.“-ს ატყობინებენ, ჭიათურის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების დამფუძნებელთა კრებაზე საზოგადოების დირექტორებად აურჩევიათ: თავ. ი. გ. აბაშიძე, თავ. კ. პ. თუმანიშვილი და ი. ლ. ლორთქიფანიძე.

** აზრადა აქვთ კუკიის მე-4 სამასიონერო სკოლა გააუქმონ. ამ სკოლაში სწავლა ნაშუადღევს იყო ხოლმე.

** კავკასიის უმაღლეს მთავრობის განკარგულებით ინჟინერი ბუტენკო გაგზავნილ იქმნა ქუთაისის გუბერნიაში გზებისა და ხიდების დასათვალიერებლად.

** სატეხნიკო ცოდნის გამავრცელებელი მოსკოვის საზოგადოების გამგეობა ატყობინებს კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენის კომისიას, რომ ამ საზოგადოებას სიშორის გამო გამოფენაზედ ექსპონანტების წარმოდგენით მონაწილეობის მიღება არ შეუძლიანო.

** ტფილისის ქალაქის გამგეობამ, 23 მაისის სხდომაზედ, განიხილა რა ტფილისის ობოლთა სასამართლოს განცხადება, დაადგინა მიეცეს ობოლთა სასამართლოს 119 მან. ავეჯეულობის შესაძენად, რადგანაც სასამართლო სხვაგან გადადის.

### წერილი ოზურგეთიდგან

14 მაისს შესდგა საგანგებო კრება ოზურგეთის „მომხმარებელ“ ამხანაგობისა, რომელსაც დაესწრო სულ 23 წევრი. კრებაზედ არ გამოცხადდა გამგეობის წევრად ნაშოფი ბ-ნი ს. ვაშაკიძე, რომელიც კრებამ 23 თებერვალს გამოცვალა, მაგრამ დღემდისაც ახალის გამგეობისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია და არც კრებაზედ გამოუგზავნია ანგარიში. ამის გამო არჩეულ იქმნა კომისია რამდენისამე კაცისაგან, რომელსაც ვაშაკიძესთან პირის-პირ უნდა მოელაპარაკნა (ხმა იყო გავრცელებული, ვითომ ფული შემოეხარჯა და ამიტომ არ მოდისო), თუ ანგარიშებს რატომ არ იძლეოდა. არჩეულმა კომისიამ მოიწვია ბ-ნი ვაშაკიძე და კრებაც გაიხსნა ბ-ნ დ. შავიშვილის თავმჯდომარეობით. წარმოდგენილ ანგარიშიდგან აღმოჩნდა, რომ ბ-ნ ვაშაკიძეს, მიუხედავად იმისა, რომ ის 23 თებერვლიდგან არავითარის უფლებით არ სარგებლობდა და გადაყენებულიც იყო ახალი გამგეობისათვის ანგარიში გადაეცა, თითონ დაუბრუნებია წევრებისათვის 142 მან. საწევრო ფული (ერთმა ამ სიაში მოხსენებულმა წევრთაგანმა-კი განაცხადა, რომ მას წილის ფული ჯერ არ მიუღია და რატომ ხმის უფლებასართმევენ. მიუთითეს ვაშაკიძეზე, თუ არ მიგიღია, ის გიპასუხებსო). ფულათ წარმოადგინა 205 მ. და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში მიბარებული 202 მ. 40 კაპ. სულ 549 მ. 40 კ. ისე რომ ბ-ნს ვაშაკიძეზედ დარჩა გარდა 30 მან. ნივთებისა, 570 მ. 15 კ. ფულათ. წევრებში ამის გამო დიდი უკირილი ატყდა: „სადაა ჩვენი ფული, შესაშმელი ფული სად გვქონდა, მოიტანოს, თორემ სამართალში მივცემთო“ და სხვა.

კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა: მიეცეს ბ-ნს სამსთ ვაშაკიძეს ათის დღის ვადა, რომ 570 მ 15 კ. გამგეობას გადასცეს თავისის ხვედრი სარგებლით. გარდა ამისა, კრებაზედ გამოირკვა, რომ 23 თებერვლიდგან არავითარ შემოსავალ გასავალი წიგნებში არ გატარებიათ: მაგ. გურიის ამხანაგობის „შუამავლისაგან“ ბ ნს ვაშაკიძეს მიუღია 13 აპრილს 16 მ. 60 კ. ფულის სარგებელი და არსად არ ჩაუწერია. კრებამ დაადგინა: ახალმა გამგეობამ ორის კვირის განმავლობაში წარმოუდგინოს კრებას თავისი მოსაზრება და, თუ კრება გამგეობის მოსაზრებას არა-საკმარისად დაინახავს, იმ დღესვე დარიგებულ იქმნას წილის ფული სარგებლით. დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია აგრეთვე ბ-ნის ილარიონ მგელაძის თხოვნამ, რომელიც მხოლოდ კრების დღეს შემოიტანა: გამგეობის წევრობა არა მსურსო.

აქვე მოგვყავს ოქმი კრებისა სიტყვა-სიტყვით, რომელზედაც ხელი უწერიათ კრების თავმჯდომარეს დ. შავიშვილსა და გამგეობის წევრს ი. დათებაშვილს:

„1901 წელსა, მაისის 14-სა დღეს, მოხდა არა-ჩვეულებრივი კრება ოზურგეთის „მომხმარებელ საზოგადოების“ წევრებისა, რომელსაც დაესწრო 26 წევრი. თანახმად საზოგადოების წესდებისა, კრება ჩაითვალა კანონიერად, რადგანაც ერთ მეხუთედზედ მეტი წევრი დაესწრო. თავმჯდომარედ ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნა დომენტი შავიშვილი. კრება შეუდგა ყოფილის გამგეობისაგან უფლებისავე ანგარიშის მიღებას: ჩაიბარა ახალმა გამგეობამ „კნიჟკები“ გასულის წევრებისა, სულ ას-ორმოცდა-ორი მანეთისა (142 მან.), ფულად ორასხუთი მანეთი (205 მან.), ოზურგეთის შემნახველ-გამსესხებელი კასის „კნიჟკა“ 202 მან. 40 კაპ. და სულ—549 მან. 40 კაპ., ისე რომ ყოფილს გამგეობაზედ, გარდა 30 მან. ნივთებისა, რჩება ფულად 570 მან. 15 კაპ. კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა: მიეცეს ბ-ნს სამსონ ვაშაკიძეს ათის დღის ვადა ზემოაღნიშნულის 570 მან. და 15 კაპ. ახალ გამგეობის გადასაცემად. გარდა ზემოაღნიშნულის 570 მან. 15 კაპეიკისა, ბ-ნს ს. ვაშაკიძეს დაევალა გადაიხადოს 12 პროცენტი 500 მანეთისა 30 აპრილიდგან, ხოლო 60 მანეთისა—23 თებერვლიდგან ამა წლისა. 23 თებერვლიდგან ამხანაგობის გამგეობას გადრე დღემდის არავითარი წარმოება არა ჰქონია. ამხანაგობის წევრთაგან კრებაზედ შემდეგის საკუთარის აზრისა დარჩა ბ. ს. ჭეიშვილი:—„თებერვლიდგან არავითარი შემოსავალ-გასავალი წიგნებში არ გატარებიათ. მაგ. გურიის „შუამავლის“ ამხანაგობისაგან გამგეობას მიუღია 13

# ფელეტონი

## წერილები ინგლისიდგან

(წერილი მე-XXV)

კრიზისი სახალხო განათლების საქმეში.—გავლენა აწინდელ სასკოლო სისტემისა ქვეყნის ეკონომიურად დაცემაზედ.—შიში მომავლისათვის.

ამ ჟამადაც ჩემი წერილი მიმდინარე პოლიტიკისა და საზოგადოებრივ ცხოვრების საქმეებს უნდა შეეწიროს. რთულის ხასიათის მოვლენანი, რომელნიც საპოლიტიკო კრიზისთან ერთად მთელის წლობით მწიფდებოდნენ და ვითარდებოდნენ, უეცრად, მოულოდნელად დაატყდნენ ინგლისს, რამაც დიდად შეაფიქრიანა საზოგადოება და შეაშფოთა ჩემბერლენის სკოლის თვით თავ-მომწონე და კმაყოფილი „პატრიოტნიც“-კი.

ერთ ასეთ, კარგა ხნობით შემზადებულს, მაგრამ უეცრად დამტყდარს, კრიზისს შეადგენს სახალხო განათლების საქმე, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ხალხისათვის გამართულ ყველა იმ სკოლებისა და კლასების დახურვა, სადაც გრამატიკისა, წერისა, ანგარიშისა, ინგლისის საელემენტარო ისტორიისა და გეოგრაფიის გარდა ცოტა რამ სხვასაც ასწავლიან.

დაუჯერებელ, გასაოცარ და განსაცვიფრებელ ამბად ჩასთვლის მკითხველი ამას; გაიკვირვებს და იტყვის, ნუ თუ შესაძლებელია ინგლისში ეხლა ლაპარაკი სახალხო სკოლის შეზღუდვისა და ხალხისათვის გამართულ დაბალ, საშუალო, მაღალ ან სხვა რომელისამე სკოლის გაუქმების შესახებაო?

დიაღ, დაუჯერებელია, რომ ნამდვილი არ იყოს: პირველ-დაწყებით განათლების დღევანდელის სისტემის მრავალ-რიცხოვანმა და ძლიერმა მტერმა იმდენი ჰქმნა, რომ სასამართლოს საშუალებით 12 წლისაზედ უფროს ბავშვებს სკოლის კარები დაუკეტა, ხოლო საელემენტარო სკოლებთან ყმაწვილ კაცთა და მოზრდილ მუშათათვის გამართული საღამოს კურსები, როგორც პირველ-დაწყებით სკოლათა პროგრამით არ დახედულნი, დასაკეტად და გასაუქმებლად განამზადა. ეს საქმე მან სულ უბრალოდ მოახერხა. ერთმა მშობელმა სასამართლომდე მიიყვანა სასკოლო გადასახადით შეკრებილ ფულის ხარჯვის საქმე. გადასაწყვეტი შემდეგი იყო: შეუძლიანთ თუ არა საზოგადო დაწესებულებათ იმ გარდასახადის ფული, რომელიც ერთის რომელისამე საქმისათვის არის გაწერილი, მეორე საქმეს მოანდომონ? უფლება აქვთ თუ არა, მაგალითად, საელემენტარო სკოლების საბჭოებს ამ სკოლებისათვის შეკრებილი ფული სპეციალურ და უმაღლეს საღამოს კურსების (მოზრდილთათვის) დაარსებას მოანდომონ?

სასამართლოს განაჩენი „არ შეუძლიან“-ს შეიცავდა. სასკოლო საბჭოებს არ შეუძლიანთ საელემენტარო სკოლის სასარგებლოდ გაწერილი გადასახადი სპეციალურ და საღამოს კლასების გამართვას მოახმარონ. ხოლო ასეთი კურსები გამართულია ყველა ქალაქისა და დაბის სკოლებთან; ამ კლასებით ამაყობს ყოველი სასკოლო საბჭო; იქ დაიარებიან ყველანი, წლოვანობისა და ხელობის განურჩევლად, თვით ლონდონის პოლიცეილნიც-კი... და აი, სრულიად მოულოდნელად, მთლად ეს სისტემა საშუალო სახალხო განათლებისა გაუქმებულ უნდა იქმნას იმ დრომდე, ვიდრე არ შემოიღებენ ახალ სპეციალურ სკოლის უმაღლესის პროგრამით.

ვის რად დასჭირდა დაქცევა დამატებითი სახალხო განათლების სისტემისა, მართალია, არც მაგდენად სრულის და ამასთან ჯერეთ ღარიბისა, მაგრამ მაინც სასარგებლო სისტემისა? ვისთვის რა სასარგებლოა საღამოს კურსების გაუქმება? ამ კურსების თან-და-თან შექმნასა და დაარსებას მოუნდა დიდი შრომა და დრო, მთლად უკანასკნელი 30 წელიწადი. ვის ეჩხირებოდა თვალში ეს კურსები? ვისა და მღვდლებს, ყველა სარწმუნოების, სექტისა და სასულიერო კავშირის მღვდლებს; ეს კურსები თვალში ეჩხირებოდა და ხელს უშლიდა თვით იმ ლორდებსა და პრელატებს, რომელთაც ჯერ ისევ 1819 წელს არ შეიწყნარეს სტრუჯის კანონ-პროექტი *); ხელს უშლიდა მთლად იმ პატრიოტულ ჰანგზედ მომართულ მძარცველობის პლუტოკრატიას, რომელიც დღევანდელ ინგლისის საქმეებს განაგებს. ყველა ამათი საერთო მეცადინეობა დიდი ხანია მიმართული იყო სახალხო განათლების დღეს მიღებულ სისტემისა და იმის სასკოლო კომიტეტების წინაამდეგ, იმ კომიტეტებისა, რომელთა არჩევანების დროსაც ყველასა აქვს ხმის უფლება.

დღევანდელი სასკოლო წესდება, ფოსტერის კანონის სახელით ცნობილი, პარლამენტის მიერ შეწყნარებულ იქმნა 1869—70 წლებში, გლადსტონის პირველ სამინისტროს დროს. სწორედ მაშინ შეამჩნიეს პირველი ნიშნები ინგლისის ჩამორჩენისა და იმ ერთა გამარჯვებისა ინდუსტრიასა და საკომერციო ნავოსნობაში, რომელთაც სავალდებულო და უსასყიდლო სახალხო განათლების კარგი სისტემა ჰქონდათ შემოღებული. შორს-მხედველმა და დაკვირვებულმა მამულიშვილებმა ჯერ ისევ მაშინ აღნიშნეს, რომ შეერთებული შტატები, გერმანია და სკანდინავიის პატარა სახელმწიფოები, ე. ი. ის ქვეყნები, სადაც სამაგალითო პირველ დაწყებითი სკოლა და საშუალო საპროფესიონალო განათლებაა შემოღებული, გაუსწრობენ ტეხნიკაში ინგლისის წერა-კითხვის არ მცოდნე მუშებსა და გლეხებსაო. წერა-კითხვის არ მცოდნეთა რიცხვი-კი საკუთრად ინგლისსა და ვალისში იმდენად დიდი იყო მაშინ, რომ მამაკაცთა 23%-ს და დედაკაცთა 33%-ს არ შეეძლო საქორწინო პირობის ქაღალდზედ ხელის მოწერა. ეხლა ასეთი არ მცოდნე ითვლება (1894 წ.): მამაკაცი—4,6%, დედაკაცი—5,4%.

რათა ახლად აღმოცენებულ მეტოქობისათვის წინაამდეგობა გაეწია ინგლისს, სალიბერალო სამინისტრომ გადასწყვიტა მაშინ თვით საზოგადოება დაიხმაროს და სახალხო განათლების საქმის განსაგებად მცხოვრებთა მიერ არჩეული სასწავლებელთა საბჭოები მიიწვიოს. სკოლაში სიარული სავალდებულო შეიქმნა ყველა ბავშვისათვის 5-დგან 12 წლამდე, თუმცა ბავშვებს შეუძლიანთ 14 წლამდეც იარონ. სამღვთო სჯულის სწავლება შეზღუდულ იქმნა ძველისა და ახალის აღთქმის ამბებით და მასწავლებლობაც ამ საგნისა ერის კაცთ მიენდოთ. ეს განკარგულება სექტების სიმრავლის გამო შეიქმნა საჭირო. ანგლიკანთა და კათოლიკეთა გარდა არსებობს ინგლისში მრავალი სხვა სექტაც: არიან პრესვიტერიანები, ვესლეანები, ბაპტისტები და სხვანი. სკოლაში რომ ერთის ეკკლესიის კატეხიზმოს სწავლება შემოეღოთ და ამ ეკ-

*) იხ. „ივერია“, № 31, 1901, „მეცხრამეტე საუკუნე“.

აპრილს 16 მანეთი და 60 კაპ. ფულის სარგებელი, თითონ-კი გამგეობა უნახავს ამ ფულს ზეპირად და ისიც 16 მან. 30 კაპ., ხოლო როცა მოაგონეს, გამგეობამ გაასწორა 16 მან. და 60 კაპ. ამავე აზრს ადგა ბ-ნი ირაკლი დღონტი. კრებამ დაადგინა: დღეიდგან თხუთმეტის დღის ვადაზედ ახალმა გამგეობამ დანიშნოს კრება და წარმოუდგინოს კრებას თავისი მოსაზრება; ხოლო უკეთუ კრება გამგეობის მოსაზრებას არა-სასურველად დაინახავს, იმ შემთხვევაში იმ დღესვე დარიგებულ იქმნას საწილო ფული თავისის ხვედრი სარგებლით. კრებამ დაადგინა, თანახმად მათის თხოვნისა, ბ ნი ილარიონ მგელაძე და სიმონ კრიაზნოვი გამგეობის წევრობიდგან განთავისუფლებულ იქმნენ და მათ მაგიერ მოწვეულ იქმნას მღვ. ვასილი ლუმბაძე და ივლიანე ჯაყელი.

კრების თავმჯდომარე დომენტი შავიშვილი.

ნამდვილთან შემოწმებულია: გამგეობის წევრი ი. დათებაშვილი.“

დამსწრე

---

## ზესტაფონის სცენის ამბავი და პასუხი მიხეილ გაჩეჩილაძეს

(„ცნ. ფურცლის“ № 1446-ის წერილის გამო).

პროვინციის ცხოვრება არც ისე უფერული და უსიცოცხლოა, როგორც ეს ბევრსა ჰგონია. აქაც კეთდება პატარ-პატარა საქმეები და ბეჭდვითი სიტყვის ჭეშმარიტი მსჯავრი პროვინციის საქმეების შესახებაც საჭირო არის, რადგანაც ამგვარს სიტყვას ბოლო წლებში თვით მიყრუებულ სოფლებშიაც-კი დიდი ფასი დაედო. ამისათვის არც ზესტაფონის საარაკო სცენის ამბავი არის მნიშვნელობას მოკლებული, თუ მოისმენთ, მით უმეტეს, რომ ამ საქმეში მალაყების მოთამაშე გმირი, შარშან წყალწაღებული მიხეილ გაჩეჩილაძე, წელს ისევ გამოირია და „ცნობის ფურცლის“ 1446 №-ში წერილი დაბეჭდა. ამ წერილის პასუხთან ერთად საჭიროა ამ სცენის ისტორიაც ვიცოდეთ.

წიგნთ-საცავის დაარსების შემდეგ 1898 წელს ზაფხულში თეატრის დაარსება განვიზრახეთ. ამხანაგურად მოლაპარაკების შემდეგ ავდექით და ამ საქმისათვის კაცზედ ოთხ-ოთხი მანეთის გროვებასაც შევუდექით. 25 კაცამდე რომ ავიდა, კრება დავნიშნეთ, საამხანაგო წესდება შევადგინეთ და გამგეობა ავირჩიეთ. ვარდენ ჩხაიძე (თავმჯდომარე), ვანო არდიშვილი (ხაზინადარი), ლუკა კელენჯერიძე, ალ. არაბიძე, მიხეილ გაჩეჩილაძე (გამგეობის წევრნი). სახლი ალ. არაბიძისაგან ვიქირავეთ. კრებამ დაავალა ვანო არდიშვილს, რომ შენობის ქირის თაობაზედ იგი წერილობითი პირობით შეჰკვროდა ალ. არაბიძეს, როგორც კერძო კაცი. ერთ-ერთ კრებაზედ არაბიძის თანადასწრებით ვანო არდიშვილმა გამოაცხადა—პირობა გაკეთებული გვაქვს, სახლი ჩავიბარეთ და სცენაც გავაკეთეთო. ფული არდიშვილს ებარა; ხშირად ის თავისს ჯიბიდგან ჰხარჯავდა და შემდეგ თეატრის შემოსავლიდგან ვისტუმრებდით. ერთის წლის განმავლობაში არდიშვილს თეატრმა სრულიად გადაუხადა მისის ანგარიშით დახარჯული სამასი მანეთი. ერთს მშვენიერს დღეს ალ. არაბიძეს მოუსურვა ჩვენს სცენაზედ საკუთარი წარმოდგენა გაემართა. რადგან გასაღები ჩვენ გვქონდა, გატეხა კლიტე და გამართა რეპეტიცია. მე საზოგადოების სახელით გამგეობის ყველა წევრების თანადასწრებით მოვთხოვე არაბიძეს, რომ ჩვენს ქონებას უნებლოდ არ შეჰხებოდა და როცა მან ეს არ ისურვა, არდიშვილს ვთხოვე პირობა კანონისამებრ ეწარმოებინა, რაზედაც ის მაშინვე თანახმა გახდა. მეორე დღეს-კი მითხრა, პირობაზედ თურმე ყალბად სხვისი ხელი ყოფილა მოწერილიო; მესამე დღეს-კი სთქვა, პირობა მთლად დამეკარგაო. ისიც მოსახსენებელია, რომ სცენისათვის ნახარჯ ფულების ანგარიშში მე აშკარა სიმრუდეს ვხედავდი და ამას საზოგადო კრებებზედაც არა ვმალავდი თუმცა კარგად ვიცოდი, მართლის მოლაპარაკეს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყოლოდა.

ერთის წლის შემდეგ გამგეობას თავი დავანებე (არჩეული სამის წლით ვიყავით წევრადა), რაკი მიხეილ გაჩეჩილაძესთან და ვანო არდიშვილთან ამ ამბების გამოაშკარავებისა გამო უსიამოვნება მომივიდა (ალ. არაბიძე უკვე გამოცვლილი იყო). მას შემდეგ აკი „უპატრონო ეკკლესიასაც ეშმაკები დაეპატრონნენ!“ მიხეილ გაჩეჩილაძე „ცნ. ფურცელში“ ამბობს, ვითომ მე წევრთა კრებას გავექცეოდიო. ეს არის დიდი ტყუილი და აშკარა ცილის-წამება. საზოგადოების წევრთაგან ბევრმა მთხოვა რამდენჯერმე ჩემს დაწყებულს საქმეს დავბრუნებოდი, მაგრამ, საუბედუროდ, ეს შესაძლოდ ვერა ვცანი. მას შემდეგ ამ საქმეს განაგებენ მიხეილ გაჩეჩილაძე, ვანო არდიშვილი და ილია მაღლაკელიძე. როცა ამ „გლეხის“ ამხანაგობის სახელით შეერთებულ შედუღებულ სამ-პიროვნებას წიგნთ-საცავის გამგეობაც ჩავაბარეთ, მაშინ ისურვეს თეატრი წიგნთ-საცავს ჰქონებოდა და მიჰყვეს კიდევაც ხელი ამ საქმის სისრულეში მოყვანას. მანამდე-კი ამ ორის დაწესებულების შეერთების წინააღმდეგნი იყვნენ. 17 ივლისს 1899 წელს ამ საარაკო გამგეობას მოუწვევია კრება, რომელსაც დასწრებია შვიდი წევრი, სამი გამგეობის წევრი; ხუთის წევრის მაგიერ რწმუნების ბარათები წარმოუდგენიათ გამგეობის წევრთ; გახდა თხუთმეტი ხმა და ამ 15 ხმაში რვა ხმას გარდაუწყვეტია: „დაკანონდეს წლიურად საწევრო სამ-სამი მანეთი და ვინც არ შემოიტანს, წევრობიდგან გაირიცხოს“. ოქმზედ ხელი უწერია საზოგადოების ხუთს წევრსა და სამს გამგეს და ამათ კიდეც შეუტანიათ (3 მ. × 8) 24 მანეთი. ამ რიგად რვა კაცმა გარდასწყვიტა მიითვისოს 27 კაცის ქონება, ხოლო რვა კაცში სამი გამგეა! თუ გაგონილა, თუ მოსწრებიხართ ამგვარს სიმახინჯეს?! ეშვი არ არის, თუ ამ გზით ვიარეთ, შემდეგ ამ რვა კაცში კრებაზედ მოვიწვევთ მხოლოდ ხუთს (მიხეილ გაჩეჩილაძის ლოგიკით ხომ კანონიერი იქნება?), ხუთიდგან სამი კაცი გავაგდებთ ორს და დაგვრჩება ყველაფერი სამ-პიროვან „გლეხის“ ამხანაგობას! აი, ამგვარ კაცებთანა გვაქვს დღეს საქმე!

ეს იყო 1899 წლის 17 ივლისს. გკითხოთ ეხლა ამ ურცხვს ყაიბატონს: რა დამოკიდებულება აქვს 17 ივლისის საქმესთან იმ საჩივარს, რომელიც არდიშვილმა აღძრა ამავე წლის აგვისტოში და გაირჩა ოქტომბერში? განა საძრახი არ არის, კაცს ასე ჰქონდეს მეხსიერება! რა ვთქვი სასამართლოში, რატომ გარკვევით არა ბრძანებს ბ-ნი მიხეილ გაჩეჩილაძე, თუ გული საგულეს აქვს? არც მიხეილ გაჩეჩილაძე, არც თუ მის მიერ ნაჩვენები მოწმეთაგანი ვინმე არ დასწრებია საქმის გარჩევას; დარწმუნებული ვარ არც მოსამართლის ოქმში ჩაუხედნიათ. მაშ, საიდგან იცის მიხ. გაჩეჩილაძემ, რა ვთქვი?! ეს ადლაჰმა უწყის! ვანო არდიშვილის სიტყვებით ლაპარაკობს? რა არის ამ სიტყვების ფასი? გახვრეტილი გროში!.. სასურველია დასახელებულმა კაცებმა გაზეთის შემწეობით გამოსთქვან: მართლა სთხოვეს გამგეობას თეატრი წიგნთ-საცავს გადაეცეთო, თუ არა? და თუ ამისი მიზეზი მე ვიყავი, საიდგან და როგორ? საამხანაგო წესდებაში ნათქვამია, რომ ის ოთხი მანეთი იყო ერთ-დროებითი გარდასახადი. ვის რა უფლება აქვს დაასკისროს სხვას ახალი გარდასახადი და ისიც ისე, რომ მას არც-კი ჰკითხოს? 17 ივლისს კრება არის დანიშნულიო,—შეატყობინა გამგეობამ მხოლოდ ზოგიერთს „თავისიან“ წევრს; ვარდენ ჩხაიძე, ალექსანდრე თაბაგარ[illegible] რელიძე და სხვები მიწვეულიც დირსადაც-კი არ იცვნეს. ასეთ კაცებთან საზოგადო საქმეზედ ლაპარაკი მე მეტად ვცანი და ორი წელიწადია კიდეც გაჩუმებული ვიყავი. შემდეგ ეს სცენა გამგეობამ გააჩუქა, მაგრამ წიგნთ-საცავის წევრთა კრებამ აღარ იჩუქა იმ მოსაზრებით, რომ გაჩუქება მხოლოდ პატრონს შეუძლიან და პატრონი წევრები-კი არსად იყვნენ. ეხლა, ვგონებ, გონს მოვიდა გამგეობა და წელს, 10 აპრილს, ამნაირის წერილით მიგვიწვია კრებაზედ: „მობრძანდით, თქვენი აზრი გამოსთქვით, მხოლოდ საქმის გარდაწყვეტის დროს ხმა აღარა გაქვთ“-ო. ესეც მიხეილ გაჩეჩილაძის საქმე გახლავთ! გიახელით კრებაზედ და გამოაშკარავდა ის, რაც ზემოდ მოგახსენეთ: საქმის დასამთავრებლად დაინიშნა მეორე კრება 21 აპრილისთვის, წევრებმა უწყებაზედ ხელი მოაწერეს, ხოლო გამგეობამ-კი ამ დღეს თეატრში წარმოდგენა გამართა! ღირს-კი განა ამის შემდეგ იმ კაცთან ლაპარაკი, რომელსაც ამგვარადა ჰსურს საზოგადო საქმეების გაძღოლა?

ეს წერილი დაწერილი მქონდა. მეორე შაბათს კრებას ველოდით; გამგეობამ სამი წარმოდგენა გამართა და მესამე წარმოდგენის შემდეგ-კი, 30 აპრილს, თეატრი დაიწვა. 1-ლ მაისს, დილით, გავიგეთ ეს თავს ზარ-დამცემი ამბავი. თან ჩაიწვა ჩვენი 600—700 მანეთი და უანგარო შრომა. ალ. არაბიძის საკმაოდ ძველი შენობა-კი, რომელიც სცენის მოსაწყობად ძლივს გამოგვადგა, კარგა ხანია დაზღვეული ყოფილა 3,000 მანეთად! ამ რიგად, თეატრიდგან დაგვრჩა მხოლოდ მწარე მოგონება, სხვა არაფერი! როგორც თეატრის მოწეს-რიგე ამბობს, მას არც ერთი სანთი გაუქრობელი არ დაუტოვებია და მოწმებიც ამასვე ამტკიცებენ, მაგრამ საიდგან უნდა გაჩენილიყო ცეცხლი, ეს ვერ გაგვიგია!..

---

კლესიის მღვდლისთვის მიეცათ მასწავლებლობა, სხვა კატეხიზმოთა და მღვდელთათვისაც ასეთივე უფლება უნდა მიენიჭებინათ.

აი ეს გონიერი და საქმისათვის სასარგებლო შეზღუდვა სამღვდელოების უფლებათა შეადგენს მტრობის წყაროს საზოგადოებრივ სკოლის წინააღმდეგ გაბატონებულ ანგლიკანთა ეკკლესიის მხრივ. სამღვდელოება, განსაკუთრებით ანგლიკანთა და კათოლიკეთა, შეუდგა ეგრედ წოდებულ ნებაყოფლობით (voluntary) სკოლების დაარსებას, სადაც სარწმუნოებრივი სწავლაა გაბატონებული და სადაც სასულიერო წოდების კაცნი ასწავლიან. კონსერვატორთა სამინისტრო ყოველთვის მხნედ უჭერდა მხარს სამღვდელოებას; იგი თუმცა ვერა ჰბედავდა სასკოლო რეფორმის წინააღმდეგ პირდაპირ გალაშქრებას, მაგრამ ყოველის საშუალებით ხელს უწყობდა „ნებაყოფლობით“ სკოლის განვითარებას საზოგადო სკოლების საზარალოდ.

მაგრამ სასწავლებელთა საბჭოებმა საქმე სინიდისიერად და კარგად წაიყვანეს. თანდათან მიწვეულ იქმნენ საუკეთესო მასწავლებელნი—ქალნი და კაცნი. სკოლებმა სამაგალითო გავლენა იქონიეს მცხოვრებლებზედ, თუმცა პირველადვე საგრძნობელი შეიქმნა სასკოლო განათლების სიმცირე და ხანმოკლეობა. მართლაც და იმ დროს, როდესაც სკოლაში სიარული სავალდებულო იყო ბავშვისათვის საქსონიაში 17 წლამდე, ბადენში—16, შეერთებულ შტატებში—15 და 14, პრუსიაში—14, ინგლისში მხოლოდ 12 წლამდე იყო სავალდებულო. მართალია, დედმამის სურვილისამებრ მოსწავლეს სკოლაში 14 წლამდეც შეეძლო სწავლის განგრძობა; მაგრამ ასევე სწავლის განგრძობა საზოგადო სკოლაში ყმაწვილ კაცთ შეეძლოთ:

| | | |
|---|---|---|
| შტატებში (33 შტატში) | 21 | წლამდე |
| „ 8 შტატში | 20 | „ |
| საქსონიაში . . | 17 | „ |
| შოტლანდიაში . | 18 | „ |
| შვეიცარ. (4 კანტონში) | 21 | „ |

დამატებით სწავლის განგრძობა უსასყიდლოდ მოსწავლეებს შეეძლოთ მხოლოდ საღამოს და სპეციალურ კლასებზედ. ამიტომ ასეთის საღამოს კლასების გამართვას, სადაც ასწავლიდნენ მათემატიკასა, ისტორიასა, საბუნებისმეტყველო საგნებს, ლიტერატურას, ახალ ენებს, ხატვას, ხაზვას, სხვა-და-სხვა ხელობის დასაწყისს, აგრეთვე მეოჯახობასა და ხელსაქმეს, დიდის მხნეობითა და გულმოდგინეობით შეუდგა პირველ დღიდგანვე თითქმის ყველა სასწავლებლის საბჭო, განსაკუთრებით დიდ და სავაჭრო-სამრეწველო ქალაქებში. თანდათან, ამ 30 წლის განმავლობაში, ყველას თვალწინ, საქმე მოეწყო და გაიზარდა და ფიქრადაც კი არავის მოსდიოდა, რომ საღამოს კლასების დაარსება კანონის წინააღმდეგი საქმე იყო. პარლამენტი ყოველ წელს ფულსა სდებდა იმათ შესანახად და არამც თუ ამ საკეთილო საქმის შევიწროვებაზედ ლაპარაკი არ იყო, კეთილსინდისიერნი იმასაც სჩიოდნენ, რომ სახალხო განათლების საქმე ვერ არის სასურველად განვითარებულიო. ამ ბოლოს დროს თანდათან უფრო ხშირად გაისმის სამდურავი ინგლისის ჩამორჩენის შესახებ, განსაკუთრებით სატეხნიკო განათლების საქმეში.

ინგლისის სასკოლო საქმე რომ შევადაროთ სასკოლო საქმეს შეერთებულ შტატებისა, ბადენისა, შვეიცარიისა ან პრუსიისას, ვნახავთ, რომ პრუსიაში 5,299,310 სასკოლო ეროვნობის ბავშვისაგან პირველ დაწყებით სკოლაში დაიარება 4,916,476 ბავშვი, ხოლო ინგლისში, თუ შოტლანდიასა და ირლანდიას არ ჩავთვლით, 6,254,135 ბავშვისაგან—მხოლოდ 4,325,030. უფრო ნაკლებია საღამოს კლასებზედ მოსიარულეთა რიცხვი. რაც შეეხება საშუალო სატეხნიკო განათლებას, თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ამ მხრივ ინგლისი სხვა განათლებულ ერთ ბევრად ჩამორჩა. მხოლოდ ეს რამდენიმე წელიწადია საზოგადოება გულმოდგინეთ და დაბეჯითებით თხოულობს საშუალო სატეხნიკო განათლებას.

—თანდათან სხვა ერები გვისწრობენ, თანდათან ვკარგავთ ბაზრებს, ხოლო მიზეზი ამისა ის არის, რომ არა გვყვანან განათლებული ტეხნიკოსნი, უცხო ენათა მცოდნე კლერკებიო!—ამ სიტყვებს ყველა მიტინგზედ გაიგონებთ, ყველა გაზეთში წაიკითხავთ. საერო სალიბერალო ფედერაციის კრებაზედ, რომელიც ეს-ეს არის დაიხურა, ცნობილმა პედაგოგმა და სასკოლო კომიტეტთა მოღვაწემ, Dr-მა და პარლამენტის წევრმა მაკნარამმა მშვენიერის სიტყვებით გამოსთქვა საზოგადოების სამდურავი და საჩივარი:

„ინგლისი სისხლსა ჰღვრის, ახალს მიწა-ადგილებსა და ბაზრებს იძენს... იმ ხალხთათვის, რომელნიც კულტურით ჩვენზედ მაღლა სდგანან, ჩვენზედ მეტად განათლებულნი არიან (ხანგრძლივი ტაშის ცემა გაისმა). ჩვენ გავიმარჯვეთ ომდურმანთან, მაგრამ ატბარზედ ხიდის გამართვაკი ვერ მოვახერხეთ (ეს ხიდი ამერიკელებმა გააკეთეს), ჩვენი სტაფორდული რელსები ბელგიაში დამზადებული აღმოჩნდა; რკინეულის ნაწარმოები შეფილდისა—გერმანიიდგან აღმოჩნდა; დევონშირის ცრობო—დანიური აღმოჩნდა; ჩვენებური ყველი ამერიკული გამოდგა“.

მაკნარამს შეეძლო განეგრძო: საუკეთესო წაღები ინგლისში ამერიკულია, იარაღი—იქაურივე; საბეჭდავი მანქანები, საუკეთესო სასტამბო და სალიტოგრაფო სამუშაო; საკერავი მანქანები, ველოსიპედები; აბრეშუმისა და მატყლის ნაწარმოები; სატეხნიკო ქიმიის ნაწარმოები,—ერთის სიტყვით, ყველა ის, რაც ტეხნიკის ამ უკანასკნელი 30—40 წლების პროგრესმა შეჰქმნა, ინგლისში ამერიკული, ნემეცური, ფრანგული და ბელგიური აღმოჩნდა... აღმოჩნდა, რომ თვით ინგლისის შინაური წარმოება ძველს ფორმებსა და საშუალებებზედ ყოფილა დამყარებული. ბევრად გაუსწრეს ინგლისს იმ ქვეყნებმა, სადაც საშუალო სატეხნიკო განათლებაა, ეს ქვეყნები თან-და-თან ივიწყებენ კიდეც ამ რამდენისამე ხნის წინად ტეხნიკისა და ინდუსტრიის სათავეში მდგომ ინგლისს.

ცოდნასა, საზოგადო და სატეხნიკო განათლებას თხოულობს ხალხი. ერთმა ფრანგულმა მუშათა გაზეთმა თავისს დევიზად „განათლება და განთავისუფლება“ დაისახა; ამავე გზას დაადგნენ ეხლა ინგლისის მუშებიც... და აი, სწორედ ამ დროს იკეტება მუშათათვის გამართული საღამოს კლასები! მეტი-ღა ბარბაროსობა იქმნება! რაღა ლაპარაკი უნდა, საზოგადოება აღელვებული და უკმაყოფილოა.

ვ. მარველი

(დასასრული იქნება)

ბოლოშს ვიხდი, რომ წერილი გამიგრძელდა, მაგრამ ორიოდე სიტყვა „წაოზურტის“ კორესპონდენციის შესახებაც. „სახალხო კალენდარის“ შესახებ რა უნდა დაგვეწერა? 1) დ. ჭიპაშვილს სიზმარცხადი არაფერი სცოდნია, ისე ჩაჰბეჭდა მის. გაზეთიდან მოუხმრია, გვარი-მეთქი, რომ „რეკლამად“ ეხმარა და დღესაც ვიმეორებ; 2) ის, რასაც სტაროსელსკი უფასოდ არიგებს, ფასიანად არ უნდა გაგვეხადათ; 3) ნიკალაი პავლოვიჩი, მიხაილ სპირიდონიჩი, ქართული არ არის; 4) გიორგი წერეთლის სახე სამასხროდ არ უნდა გაგვეხადნათ-მეთქი და სხვა რადა გნებავთ? მართლა, ის ხომ არა გნებავთ გაუწყოთ, რომ თქვენის კალენდარით წელს ამაღლება პარასკევს არის? აბა ნახეთ პირველი გვერდი! თუ რომელი ერთი მოგითვალოთ? „სახუმარო გასართობი“ რაც არის, ეს სხვებს ჰკითხეთ: თქვენ რომ დაფასება შეგძლებოდეთ, არც დაჰბეჭდავდით!

ვ. ს—პირელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ამას წინად მოვიყვანეთ ფილკოვიჩის აზრი იმ მომავალ რკინის გზის შესახებ, რომელმაც მოკლე გზით ამიერი და იმიერი კავკასია უნდა შეაერთოს. ეხლა ამავე საგნის შესახებ „С.-Петерб. Вѣд.“-ის მე-135 ნომერში დაბეჭდილია წერილი პროფ. ფ. ლევინსონ-ლესსინგისა. პროფესორიც მეტად საჭიროდ სცნობს ამ რკინის გზის გაყვანას; თავის წერილში იგი ეხება ტეხნიკურ მხარეს და იმას, თუ რომლის მიმართულებით უფრო ადვილი იქმნება გზის გაყვანა. იმის აზრით, კავკასიისათვის ყველაზედ მეტი მნიშვნელობა მაშინ ექმნება რკინის გზას, თუ იგი როკის გადასავალზედ (გორიდგან დარკოხამდე) იქმნა გაყვანილი. მაგრამ ამ მიმართულებით რკინის გზის გაყვანას ბ-ნი ლევინსონ-ლესსინგი შეუძლებლადა სცნობს. ნიადაგი იქ ისეთიაო, რომ მეტად გაჭირდება ლიანდაგის დაგება, ამასთან ზვავები მუდმივი სტუმარი იქნება რკინის გზისაო. ასევე ძნელი გასაყვანია რკინის გზა მეორე მიმართულებით—ტფილისს-კავკავი. ამ მიმართულებით რკინის გზა თეთრ არაგვს უნდა აჰყვეს, შემდეგ გუდამაყარის არაგვისკენ გადაუხვიოს; გადავიდეს ბუსლოჩირის გადასავალს და სამხედრო-საქართველოს გზით კავკავისაკენ დაეშვას. უფრო ადვილი გასაყვანია რკინის გზა მესამე მიმართულებით, თუმცა კავკასიის ეკონომიურ ცხოვრებისათვის ამ მიმართულებას ნაკლები მნიშვნელობა ექმნება. ეს გზა ავჭალიდგან დაიწყობა, დუშეთს იქით ფშავის არაგვზედ შეუხვევს, შემდეგ ხევსურთა არაგვზედ, გადავა არხოტის გადასავალს და ასსით კავკავისაკენ დაექანება. ამ მიმართულებით, პროფესორის აზრით, ბევრად უფრო ადვილი გასაყვანია რკინის გზა, ვიდრე ორ ზემოდ მოხსენებულ მიმართულებით.

## უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ლონდონის გაზეთ „Star“-ის ერთი კორესპონდენტი აი როგორ აგვიწერს სამხრეთ-აფრიკის რკინის გზის დღევანდელს მდგომარეობას:

„ბალფონტეინიდგან პრეტორიამდე რკინის გზა ამ ჟამად სწორედ რომ სატირელს მდგომარეობაშია, მთლად გაოხრებულია: მთელს გზაზედ დამტვრეული მატარებლები და ორთქლმავლები და ვაგონები ღუჟინობით აწყვია. ბრუგსპრუიტსა და მიდელბურგს შუა ოცდა-ათამდე ვაგონი და რამდენიმე ორთქლმავალია დამტვრეული და მიმსხვრეული; მიდელბურგსა და კანს შუაც მრავალი მატარებელი და ვაგონებია დამტვრეული.

მაგრამ ადგილების დასახელება რა საჭიროა, როდესაც რამოდენისამე ვერსის მანძილზედ ორთქლ-მავლებისა და ვაგონების ნამტვრევები ყველგან შეგხვდებათ. რკინის გზის ყველა მსახურები და განსაკუთრებით-კი მემანქანენი თავიანთს დღევანდელს მდგომარეობას დიდად უჩივიან და აცხადებენ, რომ სამხრეთ-აფრიკის რკინის გზებზედ სამსახურს თავს დაანებებენ, აღარაფრის გულისათვის არ დადგებიან.

ასში ერთი და ორი ვერდარა ჰბედავს, რომ კვლავ სამსახურში შევიდეს და ეხლავე დარწმუნებულები არიან, რომ, თუნდაც მშვიდობიანობა იქმნეს აღდგენილი, რკინის გზის ლიანდაგებს მაინც მუდამ შიში ექმნება და უარს ამბობენ, დამ-დამობით გზაში ვერ დავრჩებითო. მატარებელი, რომლითაც მე მოვდიოდი. ორჯერ გადავარდა ლიანდაგიდგან და მემანქანე კიდევ სამჯერ ჰჟოლოდათ ბურებს ტყვედაო,—ამბობს კორრესპონდენტი“.

— ჰოლანდიელს მკურნალს, დოქტორ ტანაიერს (მთელი წელიწადი ლუი ბოტასა და დევეტის ბანაკში თურმე დაჰყოლ) ბურების დღევანდელის მდგომარეობის შესახებ ფრიად საყურადღებო და სანუგეშო ამბები მოუტანია კრიუგერისათვის. ტანაიერის სიტყვით, ბურებს მომავალში დიდი იმედი თურმე აქვთ (ასე თურმე ჰფიქრობდნენ აპრილში), ძალიან მხნედ და კარგად ჰგრძნობენ თავსა და გარდაწყვეტილი აქვთ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ბრძოლა არ შესწყვიტონ. გენერალი ბოტა ამბობს, რომ იმისს რაზმს სურსათი და სამხედრო სამზადისი ჯერ არ შემოჰკლებია და არც თუ რა დაჰკლებია. მაშასადამე, ჯერ კიდევ ბლომადა აქვს. აღნიშნულის ამბების შემდეგ კრიუგერმა მინისტრად ნამყოფი ვან-ალფენი გაჰგზავნა სამხრეთ-აფრიკაში და დაავალა, რომ ბოტა პირადად ნახოს და დაბარებული გადასცესო. ვან-ალფენი ლორენცო-მარკეზის გზით ეცდება ბოტასთან მისვლასა და მისს ნახვას.

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

მეტად მოხერხებული რეკლამა გამოუგონია ინგლისში ჩაით მოვაჭრე ერთ ფირმას. ფირმამ გაზეთებში მოათავსა შემდეგი განცხადება: „ჩვენი ფირმა ჰპირდება ყველა ახლად დაქვრივებულ მანდილოსანს პენსიას კვირაში 10 შილინგს (3 მანეთამდე), თუ ეს მანდილოსანი დაამტკიცებს, რომ ქმრის გარდაცვალებამდე ხუთის კვირის განმავლობაში ყიდულობდა კვირაში ნახევარ-ნახევარ გირვანქა ჩაის ჩვენს მაღაზიაში. ის ქვრივნი, რომელნიც ამავე პირობით ყიდულობდნენ ჩვენგან კვირაში გირვანქის მეოთხედს, მიიღებენ 5 შილინგს. პენსია დაენიშნება აგრეთვე დაქვრივების შემდეგ იმ მანდილოსანს, რომელიც ამიერიდგან ვაჭრობას დაიწყებს ჩვენგან. საჭიროა მხოლოდ მანდილოსანმა ვაჭრობის დაწყებისას წარმოადგინოს მოწმობა ქმრის ჯანმრთელობის შესახებ. ვისაც ასეთის მოწმობის წარმოდგენა არ უნდა, პენსიის მისაღებად იმან 12 თვეზედ ნაკლებ არ უნდა ივაჭროს ქმრის გარდაცვალებამდე“. პირველად მცხოვრებლებმა ამ განცხადებას ეჭვის თვალით შეჰხედეს. მაგრამ მალე გადასწყვიტეს, რომ არაფერსა ვკარგავთო, და მიჰყვეს ვაჭრობას ხელი. უფრო გულ-მოდგინედ ვაჭრობას მუშათა და წვრილ მოხელეთა ცოლები შეუდგნენ. ორის თვის შემდეგ განცხადების დაბეჭდვიდგან ერთ მუშტარმანდილოსანს ქმარი მოუკვდა. ფირმამ დაპირებისამებრ დაუწყო პენსიის ძლევა ამ ქვრივს და მალე იმათი გულიც მოიგო, ვინც წინად განცხადებას არ უჯერებდა. ყოველის მხრიდგან მიაწყდნენ მყიდველნი მაღაზიას, ასე რომ დღეს, განცხადების დაბეჭდვიდგან სამის წლის შემდეგ, ფირმას რამდენიმე ასი განყოფილება აქვს გახსნილი ინგლისის თითქმის ყველა კუთხეში. ამ ჟამად ფირმა 1,500 ქვრივს აძლევს პენსიას. განსაკუთრებით ბევრის პენსიის გაცემა ფირმას ამ სამხრეთ-აფრიკის ომის დროს მოუხდა.

* * *

ლონდონში, მაღაზიების ფანჯრებში, ხშირად შეჰხვდება ეხლა თურმე კაცი ფოტოგრაფიულს სურათებს, რომლებზედაც დახატულია კიტჩენერი და ბოტა თავიანთის ამალებით. ეს სურათი გადაუღიათ მიდდლბურგში მაშინ, როდესაც კიტჩენერსა და ბოტას ზავის ჩამოგდების შესახება ჰქონდათ ლაპარაკი. შემდეგს ამბავს გადმოგვცემენ გაზეთები ამ სურათის გამო. მოლაპარაკების დროს ზავის მომხრეთ უცნობებიათ გენერალ დევეტისათვის, რომ ბოტა ომის გათავებას და დამორჩილებას აპირებსო. დევეტს არ დაუჯერებია ეს ამბავი. მაშინ გაუგზავნიათ იმისთვის ბოტასი და კიტჩენერის ერთად გადაღებული სურათი. მოხერხებულს გენერალს სხვანაირად გამოუყენებია ეს სურათი. მეორე დღეს შეუკრებია თავისი ჯარი და უთქვამს: „ამხანაგებო, თავს ნუ დაანებებთ თავისუფლებისათვის ბრძოლას, ღმერთი ჩვენკენაა: ლორდი კიტჩენერი ტყვედ წაიყვანა გენერალმა ბოტამ. აი დახედეთ ამ სურათს: კიტჩენერი ბოტას ბანაკშია ტყვედაო“,—და გენერალს უჩვენებია ჯარისათვის სურათი.

## დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

23 მაისი.

**პეტერბურგი.** 23 მაისს დაბრუნდა პეტერბურგში დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე.—23 მაისს დაბრუნდა მოსკოვიდგან პეტერბურგში დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე უავგუსტოესი მეუღლითა და ქალითურთ.

**ლონდონი.** კიტჩინერი იუწყება პრეტორიიდგან: „ჯემსტოუნი 20 მაისს 4 საათის ბრძოლის შემდეგ დაემორჩილა კრუიცინგერის რაზმს, ვიდრე მისაშველებელი ჯარი მივიდოდა, ძლეულ იქმნენ ქალაქის დარაჯნი და ქალაქის თავისუფალი მეომარნი. ინგლისელებს სამი კაცი ჰყავთ მოკლული და ორი დაჭრილი; ბურებს დიდი ზარალი მოუვიდათ. შენახული სურსათი ბურებმა წაიღეს. მეციხოვნეთ თავისუფლება მიეცათ. ფრენჩს კაპის ახალშენში მოქმედება მივანდე. მტერი 1200 კაცისაგან შემდგარი, რომელსაც კემპი უფროსობდა, თავს დაეცა დიქსონის ჯარს“.

**ლონდონი.** „Times“-ში დაბეჭდილია ოტტავიდგან მიღებული ამბავი, რომ ინგლისის მთავრობამ მადლობით უარ-ჰყო კანადის მთავრობის წინადადება ახალს ცხენოსან ჯარის გაგზავნის შესახებ სამხრეთ აფრიკაში. მთავრობა იმ აზრისაა, რომ სამხრეთ აფრიკაში მყოფი ჯარი საკმაოა.

**პეკინი.** გეზლის სიტყვით, ტიანძინში მომხდარი ამბავი ჩხუბი იყო, ჯარის-კაცთა სიმთვრალით გამოწვეული. ეს შემთხვევა ვერ დაარღვევს ინგლისისა და საფრანგეთის ჯარის უფროსთა შორის არსებულ კარგ განწყობილებას.

**ტიან-ძინი.** ტაკუში მომხდარი ჩხუბი ტრაქტირში დაიწყო. ამ ჩხუბში ინგლისის პოლიცია ჩაერია. ბრძოლა ქუჩაში გადავიდა, ამასთან თოფებსა და ხმლებსაც მიჰყვეს ხელი! ორი ფრანგი მოკლულ იქმნა, ოთხი დაიჭრა, სამი ნემეცი და ოთხი ინგლისელი დაიჭრა. ამ შემთხვევას არ შეიძლება რამე პოლიტიკური მნიშვნელობა მიეცეს.

**ბერლინი.** 21 მაისს ვალდერზეე გემით ტაკუდგან კობეში წავიდა.

**პეკინი.** დიდი ცეცხლი გაჩნდა ქალაქის აღკრძალულ ნაწილში. იაპონელები და ამერიკელები სასტიკად უშლიან ყველას ქალაქის იმ ნაწილში შესვლას, სადაც ცეცხლია, ამიტომ დაწვრილებით ამბავი არავინ იცის.

**ტიან-ძინი.** შეტაკების დროს მოკლულ ფრანგ ჯარის-კაცთა დასაფლავებას დაესწრნენ ვალდერზეე და გერმანელთა მრავალი დეპუტაცია. ზომები მიღებულია, რომ შემდეგში შეტაკება აღარ მოხდეს სხვა-და-სხვა სახელმწიფოს ჯარს შორის.

**მოსკოვი.** როგორც ისმის, სოლდტენიკოვს რუმიანცევის მუზეისთვის შეუწირავს თავისი სურათების გალერეია და წიგნთ-საცავი. დაუტოვებია აგრეთვე დიდი თანხა გალერეიისა და წიგნთ-საცავის მოსათავსებლად.


## განცხადებანი

მკურნალი

**მიხეილ გედევანიშვილი**

გადავიდა საკუთარ სახლში, ყორღანოვის ქუჩა, № 16.

ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს.

(10—6.—7)

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების»

**მეორე სამკითხველო**

გადავიდა ვერის ხიდის ჩასავალზე, ყორღანოვის ქუჩაზე, მებურნუთოვის სახლში, № 1. სამკითხველო ღიაა ყოველ დღე, დილის 9—2 საათამდის და საღამოს 6—8 საათამდის.

(2—უ—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ 28 მაისს, გამგეობის დარბაზში ნაშუადღევის 1-ლ საათზედ **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ბეტონის უსუფთაობის მილის გაკეთების საქმე. სამუშაო 1002 მანეთისაა, მთაწმინდის ქუჩიდგან მეეჯის ქუჩაზედ ზაალოვის სახლამდის, სიგრძით 42,00 საჟ.

მსურველთ პირობების ნახვა შეუძლიანთ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე 9-დგან 3 საათამდის. (3—6—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ 28 მაისს, დღის 1-ლ საათზედ გამგეობის დარბაზში **საჯარო ვაჭრობა მოხდება**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ბეტონის უსუფთაობის მილის გაკეთების საქმე, სამუშაო 1950 მანეთისა, მილიუტინის ქუჩიდგან დაწყებული ნიკოლოზის ქუჩაზედ ხითაროვის სახლამდის, სიგრძით 105,00 საჟ.

მსურველთ პირობების გასინჯვა შეუძლიანთ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე 9-დგან 3 საათამდის. (3—6—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ 28 მაისს, დღის 1 საათზედ გამგეობის დარბაზში **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ბეტონის უსუფთაობის მილის გაკეთების საქმე 750 მანეთისა, დიდის მთავრის ქუჩის რუკსის სახლიდგან დაწყებული იმავე ქუჩაზედ მიხეილის მოსახვევამდის სიგრძით 32,00 საჟ.

მსურველთ პირობების გასინჯვა შეუძლიანთ გამგეობისა ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე 9-დგან 3 საათამდის. (3—6—1)

**იმლმპა**

ქირით ხუთი ოთახი.

ნიკოლოზის ქუჩა, № 21, სახლი ე. გ. საგინაშვილისა.

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

**ჰიგიენური**

ბორნო-ტიმოლის საპონი

პროვიზორის

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს, ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი ლონდონი 1893 წ.

ფასი თითო ნაჭერის 50 კაპ., $^1/_2$ ნაჭერი 30 კაპ. იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. (48—6.—43)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 24-го Мая 1901 г.

სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ., № 28.

რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**